ქუთაისის საკრებულოს წევრ, პარტია "საქართველოსთვის" ელეონორა არჩაიას 2022-2023 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ ჩემ მიერ მიმდინარე წლის, კერძოდ 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოს ანგარიშს.

მოგეხსენებათ, როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, პარტია „საქართველოსთვის" წარმომადგენელი, აქტიურად ვარ ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში. გაერთიანებული ვარ საკრებულოს ორი კომისიის საფინანსო საბიუჯეტო და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში. ასევე, ვარ გენდერული საბჭოს წევრი, ჩემ მიერ დღემდე გაცდენილი არ ყოფილა არცერთი საკრებულოსა თუ კომისიის სხდომა. გარდა ჩემი აქტიური მონაწილეობისა საკრებულოს სამუშაო პროცესში, ყოველდღიური კომუნიკაცია მაქვს ჩემი ქალაქის მოსახლეობასთან. შესაბამისად, პირდაპირი წყაროსგან, უშუალოდ ხალხისგან ვიღებ ინფორმაციას მათი საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ, მიუხედავად ოპოზიციაში ყოფნისა. ნებისმერ დროს შესაძლებელია ჩემთან დაკავშირება ტელეფონისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

მომართვის შესაბამისად, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, დროულად ვეხმარები მოქალაქეებს. მომართვიანობა არის როგორც ინფრასტრუქტურული საკითხების თაობაზე, ასევე სოციალური და ეკონომიკური, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. არცერთი დღე არ შემიწყვიტავს მოსახლეობასთან კომუნიკაცია. ყველანაირი გზით, ადგილზე ვიზიტით, თუ შეხვედრებით ვახერხებდი მათი პრობლემების მოსმენას და აღმოფხვრას. დიდი შრომის ფასად ბევრ მოქალაქეს ძალიან მოკლე დროში მოვუგვარე სხვადასხვა სახის პრობლემა. საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ ანგარიში

- საკრებულოს თავმჯდომარეს მივმართე ინიციატივით, დაინერგოს სახალხო ბიუჯეტირების პრაქტიკა, რომლის დროსაც მოსახლეობა თვითონ განსაზღვრავს, თუ როგორ განკარგოს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი.

- დავაყენე ინიციატივა ადგილობრივ დონეზე, შეიქმნას მაკონტროლებელი რგოლი, ანტიკორუფციული კომისია.

- საკრებულოს სხდომაზე წამოვაყენე ინიციატივა უფასო მუნიციპალურ სასკოლო კვებასთან დაკავშირებით.

- საკრებულოს მივმართე ინიციატივით 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, პრიორიტეტი მიენიჭოს მდინარეებისა და ხევების კალაპოტების

გაწმენდით და ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტების განხორციელებას, განსაკუთრებით, მაღალი რისკის უბნებში.

- მივმართე მერიას, ახალგაზრდობის პარკის მოსაზღვრე ტერიტორიის შესყიდვის და გაფართოების შესახებ. (დაწყებულია ტერიტორიის დაბრუნების პროცესი)

- მოვითხოვე ბოტანიკური ბაღის კულტურის სამსახურისგან გამოყოფა და დამოუკიდებელი ფუნქციონირება.

- ქუთაისსა და აეროპორტს შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დამატების ინიციატივით, ოფიციალურად მივმართე ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს ირაკლი შენგელიას. პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ანგარიში.

- დაუმთავრებელი ბინათმშენებლობით დაზარალებული 104-ე კოოპერატივის პრობლემა დავაყენე საკრებულოში, გუბერნიაში და ასევე პარლამენტარ შალვა კერესელიძეს დახმარებით, საქართველოს პარლამენტსა და შესაბამის სამთავრობო უწყებებში.

- 2 წლიანი შრომის და ძალისხმევის შემდეგ, მივაღწიე დეპოს ქუჩის პრობლემის მოგვარებას. დავათვალიერე დეპოს ქუჩაზე დაწყებული სამუშაოები და შევხვდი ადგილობრივ მოსახლოებას.

- ჩემი აქტიური ჩართულობით შეკეთდა სტიქიით დაზიანებული საბავშვო ბიბლიოთეკის პარაპეტი.

- ასევე, მოსახლეობის აქტიური ჩართულობით შეკეთდა ახალგაზრდობის გამზირის N68 დაზიანებული სახურავი.

- მოვითხოვე მე-16 ბაგა ბაღის ინფრასტრუქტურის აღდგენა და მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინება.

- საჯარო სოლიდარობა და მტკიცე მხარდაჭერა გამოვუცხადე ქუთაისის ჩხობაძის სახელობის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის გაფიცულ თანამშრომლებს.

- არაერთხელ დავაყენე სახელმწიფო ბალანსზე არსებული უფუნქციოდ მიტოვებული შენობების საკითხი.

- მხარდაჭერა გამოვუცხადე მევახშეობით დაზარაებულ ოჯახს, რომლის პრობლემებიც ადგილობრივი მედიით გაშუქდა და ყურადღება მიიპყრო.

- ქუთაისი-გეგუთის მაგისტრალზე მდებარე ნაგავსაყრელი დავათვალიერე და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიის სამუშაოს შემსრულებელს შევხვდი.

● შევხვდი ვიცე-მერს, თამარ დახუნდარიძეს რაზმაძის ქუჩის მოქალაქეების პრობლემებთან დაკავშირებით. პირადი და საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ ანგარიში. ჩემი ორგანიზებით და სხვადასხვა ღონისძიებებში უშუალო ჩართულობით, როგორც წინა წლებში ასევე 2022 ~ 2023 წელსაც ჩავატარე არაერთი საქველმოქმედო აქცია. შესაბამისად, დავეხმარე არაერთ მოქალაქეს. აქტიურად ვარ ჩართული შშმ პირთა, ბავშვთა, მრავალშვილიან, ძალადობის მსხვერპლ ქალთა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ღონისძიებებსა და სხვადასხვა აქტივობებში.

მათ შორის: ● შევხვდი და ჩემთან ვუმასპინძლე ქუთაისის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის „ჯადოსნური სამყაროს“ ბენეფიციარებს.

● შშმ პირთა ახალგაზრდული საქველმოქმედო ასოციაციას გადავეცი საჭირო აღჭურვილობა და გავუწიე ფინანსური დახმარება.

● დავესწარი ქუთაისის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრ ,,ჯადოსნური სამყაროს'' წლის შემაჯამებელ ღონისძიებასა და კონცერტს.

● საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ეროვნულ დღეს დავესწარი "ქუთაისის დამოუკიდებელი ცხოვრების" ცენტრის მიერ გამართულ ღონისძიებას.

● დავესწარი შშმ პირთა ახალგაზრდული საქველმოქმედო ასოციაცია "მოწყალების" ორგანიზებით ჩატარებულ გამოფენა-გაყიდვას.

● მონაწილეობა მიივიღე შშმ პირთა იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის "სრულფასოვანი ცხოვრებისთვის" ორგანიზებულ ტურნირში.

პატივისცემით,

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ელეონორა არჩაია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
პარტია ,,საქართველოსთვის'' წარმომადგენლის, ელეონორა არჩაიას
"მიმდინარე მოწვევის საკრებულოს წევრის სტატუსით 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის" შესახებ ოქმი N2

ქ. ქუთაისი

30.10.2023 წ

მომხსენებელი: ელეონორა არჩაია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის საკრებულოს წევრი, პარტია „საქართველოსთვის" წარმომადგენელი;

ანგარიშის ადრესატი: პარტია „საქართველოსთვის" ქალაქ ქუთაისის ორგანიზაციის წევრები, ქალაქის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქეები.

შეხვედრის ადგილი: მოსახლეობასთან პირდაპირი კავშირი, რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილზე გასვლით, სკვერი, ქუჩა, სავაჭრო ქსელი, მუნიციპალური ტრანსპორტი და. ა.შ მოქალაქეებისათვის ს წერილობითი ფორმით 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის" შესახებ ანგარიშის გადაცემა.

დღის წესრიგი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პარტია ,,საქართველოსთვის'' წევრის, ელეონორა არჩაიას "მიმდინარე მოწვევის საკრებულოს წევრის სტატუსით 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის" შესახებ.

1. პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ანგარიში;
2. საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ანგარიში;
3. საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ ანგარიში;

/მომხსენებელი: ელეონორა არჩაია/

პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ანგარიში:

- როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი, აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს საქმიანობაში. დავესწარი საკრებულოს რიგით 12 და რიგგარეშე 4 სხდომებს. ამ ხნის განმავლობაში არცერთი საკრებულოს მორიგი ან/და რიგგარეშე სხდომა არ გამიცდენია (ერთი დავტოვე შეგნებულად).
- ყოველდღე ვხვდები ამომრჩეველს, თანაქალაქელებს. შესაბამისად, პირდაპირი წყაროდან - უშუალოდ ხალხისგან - ვიღებ ინფორმაციებს მათი საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ. მათ ნებისმერ დროს შეუძლიათ მასთან დაკავშირება ტელეფონის საშუალებით. დროულად ეხმარება მოქალაქეებს და შუამდგომლობს უფლებამოსილ სამსახურებთან. მომართვიანობა არის როგორც ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე სოციალური და ეკონომიკური თუ ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული.
- მ/წლის 30 მარტს - საკრებულოს სხდომაზე დავაყენე მეტად მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი ქუთაისისა და თერჯოლის ადმინისტრაციული საზღვრის შესახებ, რომელსაც აქტიურად გამოეხმაურა ადგილობრივი მედია. თერჯოლამ უარი თქვა მიწის გადაცემაზე, შესაბამისად აღნიშნული პრობლემის მოგვარება უკვე სცდება ადგილობრივი თვითმმართველობის კომოპეტენციას და საჭიროა მისი გადაწყვეტა პარლამენტის მეშვეობით.

- ქალაქ ქუთაისის მერის სახელზე შევიტანე განცხადება, სადაც დეპოს ქუჩაზე კანალიზაციის პრობლემის მოგვარებას ვითხოვ (საკითხს კვლავ გამოეხმაურა ადგილობრივი მედია; მერიაში დახმარებას დამპირდნენ).უკვე გამოცხადდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია და უახლოეს დღეებში სამუშაოებიც დაიწყება. (პროექტირების ტენდერი 3-ჯერ ჩავარდა; როგორც იქნა, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, რომელმაც გააკეთა პროექტი, მაგრამ ეს პროექტიც 3-ჯერ შებრუნდა უკან).

- ვიცე-მერის სახელზე შევიტანე განცხადება, რომელშიც ვითხოვ, ნეკრასოვის #5 -ში მდებარე ავარიულ სახლში მცხოვრები მაია ტაბლიაშვილი გადაიყვანონ დროებით საცხოვრებელში. (პრობლემის მოგვარება აღმითქვა ბატონმა დავით ერემეიშვილმა).

- 24 ივლისს სოციალურ ქსელში დავაყენე საკითხი, სულხან-საბა ორბელიანის გამზირზე განთავსებული მეტალურგიული ქარხნის გამონაბოლქვით ადგილობრივ ტერიტორიაზე ჰაერის დაბინძურების შესახებ. აღნიშნულ საკითხს მალე მოყვა რალეაგირება. 28 ივლისს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა მეტალურგიული ქარხანა გააჩერა. (რა თქმა უნდა, აქამდეც მიმდინარეობდა აქტიური კამპანია ამ ქარხნის წინააღმდეგ, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემმა ჩართულობამ პროცესი დააჩქარა).

- სოციალური ქსელში დავწერე წერეთლის ქუჩაზე არსებული სპორტული მოედნის შესახებ, რომელიც ეკალბარდებით იყო სავსე. ამ საკითხსაც ძალიან მალე მოყვა რეაგირება და მთლიანი ტერიტორია გასუფთავდა. (როცა ეს მოედანი კეთდებოდა, საკუთარი სახსრებით ვეხმარებოდი).

- თხოვნით მომმართა 8 შვილიანმა მარტოხელა დედამ, რომელიც, ბიუროკრატიული წინაღობების გამო, ბინას ვერ იფორმებდა საკუთრებაში. ჩემს განცხადებას მალევე მოყვა პასუხი მერიის სხვადასხვა სამსახურიდან და მარტოხელა დედას გაუწიეს დახმარება. (ვიცე-მერი ირაკლი ქარქაშაძე ჩავრთე ამ პრობლემის მოგვარებაში).

- 8 სექტემბერს, ისევ სოციალური ქსელის საშუალებით, საზოგადოებას მივაწოდე ინფორმაცია, რომ ქუთაისის შვიდ საჯარო სკოლაში არის მიტოვებული საცურაო აუზენი, რომლებსაც შეუძლია 15 000 მოსწავლეს მოემსახუროს. დახმარებისთვის მივმართე როგორც ადგილობრივ, ისე სამთავრობო უწყებებს. (მეორე დღესვე ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაანონსა დიდი საცურაო აუზის მშენებლობა).

ვცდილობ აქტიურად დავესწრო როგორც ქალაქში ასევე საქალაქთაშორისო პოლიტიკურ/საგანმანათლებო თუ კულტურულ ღონისძიებებს:

- დავესწარი შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით გამართულ საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მე-8 ყოველწლიურ კონფერენციას;

- დავესწარი NDI-ის მიერ ჩატარებულ ტრენინგს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები და ბიუჯეტირება";

- 25-26 მაისს დავესწარი შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ორგანიზებულ ინტერპარტიულ სემინარს საკრებულოს ქალი წევრებისათვის;

- 4-5 ივნისს დავესწარი საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა და პარტია "საქართველოსთვის" მიერ ჩატარებულ ტრენინგს;

- 8 აგვისტოს დავესწარი პარტიის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას ,,ქალთა გაძლიერების პლატფორმა" იმერეთში;

- დავესწარი რეგიონულ ფორუმს ,,ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა დემოკრატიის მშენებლობის გზაზე";

- ვარ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი და ჩართული ვარ გენდერული საბჭოს თითქმის ყველა ღონისძიებაში;

საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ ანგარიში

- საკრებულოს თავმჯდომარეს მივმართე ინიციატივით, დაინერგოს სახალხო ბიუჯეტირების პრაქტიკა, რომლის დროსაც მოსახლეობა თვითონ განსაზღვრავს, თუ როგორ განკარგოს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი.
- დავაყენე ინიციატივა ადგილობრივ დონეზე, შეიქმნას მაკონტროლებელი რგოლი, ანტიკორუფციული კომისია.
- საკრებულოს სხდომაზე წამოვაყენე ინიციატივა უფასო მუნიციპალურ სასკოლო კვებასთან დაკავშირებით.
- საკრებულოს მივმართე ინიციატივით 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, პრიორიტეტი მიენიჭოს მდინარეებისა და ხევების კალაპოტების გაწმენდით და ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტების განხორციელებას, განსაკუთრებით, მაღალი რისკის უბნებში.
- მივმართე მერიას, ახალგაზრდობის პარკის მოსაზღვრე ტერიტორიის შესყიდვის და გაფართოების შესახებ. (დაწყებულია ტერიტორიის დაბრუნების პროცესი)
- მოვითხოვე ბოტანიკური ბაღის კულტურის სამსახურისგან გამოყოფა და დამოუკიდებელი ფუნქციონირება.

- ქუთაისსა და აეროპორტს შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დამატების ინიციატივით, ოფიციალურად მივმართე ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს ირაკლი შენგელიას. პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ანგარიში.
- დაუმთავრებელი ბინათმშენებლობით დაზარალებული 104-ე კოოპერატივის პრობლემა დავაყენე საკრებულოში, გუბერნიაში და ასევე პარლამენტარ შალვა კერესელიძეს დახმარებით, საქართველოს პარლამენტსა და შესაბამის სამთვარობო უწყებებში.
- 2 წლიანი შრომის და ძალისხმევის შემდეგ, მივაღწიე დეპოს ქუჩის პრობლემის მოგვარებას. დავათვალიერე დეპოს ქუჩაზე დაწყებული სამუშაოები და შევხვდი ადგილობრივ მოსახლოებას.
- ჩემი აქტიური ჩართულობით შეკეთდა სტიქიით დაზიანებული საბავშვო ბიბლიოთეკის პარაპეტი.
- ასევე, მოსახლეობის აქტიური ჩართულობით შეკეთდა ახალგაზრდობის გამზირის N68 დაზიანებული სახურავი.
- მოვითხოვე მე-16 ბაგა ბაღის ინფრასტრუქტურის აღდგენა და მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინება.
- საჯარო სოლიდარობა და მტკიცე მხარდაჭერა გამოვუცხადე ქუთაისის ჩხობაძის სახელობის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის გაფიცულ თანამშრომლებს.
- არაერთხელ დავაყენე სახელმწიფო ბალანსზე არსებული უფუნქციოდ მიტოვებული შენობების საკითხი.
- მხარდაჭერა გამოვუცხადე მევახშეობით დაზარაებულ ოჯახს, რომლის პრობლემებიც ადგილობრივი მედიით გაშუქდა და ყურადღება მიიპყრო.
- ქუთაისი-გეგუთის მაგისტრალზე მდებარე ნაგავსაყრელი დავათვალიერე და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიის სამუშაოს შემსრულებელს შეკხვდი.
- შევხვდი ვიცე-მერს, თამარ დახუნდარიძეს რაზმაძის ქუჩის მოქალაქეების პრობლემებთან დაკავშირებით.

პირადი და საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ ანგარიში.

ჩემი ორგანიზებით და სხვადასხვა ღონისძიებებში უშუალო ჩართულობით, როგორც წინა წლებში ასევე 2022-2023 წელსაც ჩავატარე არაერთი საქველმოქმედო აქცია. შესაბამისად, დავეხმარე არაერთ მოქალაქეს. აქტიურად ვარ ჩართული შშმ პირთა, ბავშვთა, მრავალშვილიან, ძალადობის მსხვერპლ ქალთა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ღონისძიებებსა და სხვადასხვა აქტივობებში. მათ შორის:

- შევხვდი და ჩემთან ვუმასპინძლე ქუთაისის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის „ჯადოსნური სამყაროს" ბენეფიციარებს.
- შშმ პირთა ახალგაზრდული საქველმოქმედო ასოციაციას გადავეცი საჭირო აღჭურვილობა და გავუწიე ფინანსური დახმარება. • დავესწარი ქუთაისის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრ ,,ჯადოსნური სამყაროს'' წლის შემაჯამებელ ღონისძიებასა და კონცერტს.

- საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ეროვნულ დღეს დავესწარი "ქუთაისის დამოუკიდებელი ცხოვრების" ცენტრის მიერ გამართულ ღონისძიებას.
- დავესწარი შშმ პირთა ახალგაზრდული საქველმოქმედო ასოციაცია "მოწყალების" ორგანიზებით ჩატარებულ გამოფენა-გაყიდვას.
- მონაწილეობა მიივიღე შშმ პირთა იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის "სრულფასოვანი ცხოვრებისთვის" ორგანიზებულ ტურნირში.
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ვესტუმრე ქუთაისის მიუსაფარ ბავშვთა ოცდაოთხსაათიანი ზრუნვის თავშესაფარს და საჩუქრად წიგნები და პროდუქტი გადავეცი.
- მონაწილეობა მივიღე გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიაში. შევხვდი ძალადობის მსხვერპლ მარტოხელა დედას, რომელსაც მატერიალური დახმარება გავუწიე.
- პარტია "საქართველოსთვის" წევრებთან ერთად ვესტუმრე წყალწითელას ხანდაზმულთა პანსიონატს. პანსიონატის ეზოში დავრგეთ ხეები და მოხუცებს მივართვით პროდუქტები.
- მაქსიმალურად ვცდილობ დავეხმარო მრავალშვილიან ოჯახებს. მათ შორის, მუდამ ჩემს დღის წესრიგშია გათბობისა თუ ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი ოჯახების, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სისტემატურად მონახულება და დახმარება, ძალადობის მსხვერპლი მოქალაქეების დახმარება.
- მოვინახულე და დახმარება გავუწიე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს.
- ვცდილობ სისტემატურად მოვინახულო საავადმყოფოში გადაყვანილი პაციენტები და შეძლებისდაგვარად დავუფინანსო მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები. ამასთან, დავეხმარო სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს.

ჩემთვის ასევე პრიორიტეტულია ქუთაისში განათლებისა და ხელოვნების ხელშეწყობა. მათ შორის:

- ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადავეცი მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურის 150 წიგნი, რომლებიც საჭიროების მიხედვით სხვადასხვა ბიბლიოთეკას გადაეცა.
- ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს საჩუქრად გადავეცი ფორტეპიანო.
- ვცდილობ, სისტემატურად დავაფინანსო შემოქმედებითი საღამოები, ხელი შევუწყო ახლგაზრდა და უკვე დაფასებულ პოეტებსა და მწერლებს. აქტიურად ვიღებ მონაწილეობას წიგნების დაბეჭვდის პროცესში. ამასთან, მიმდინარე წელს ფინანსური დახმარება გავუწიე ახალგაზრდა გამომგონებლებს.
- ფინანსური დახმარება გავუწიე ასევე, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ლიტერატურულ კონკურსს- ,,ჭადრის ოქროსფერ ფოთოლს" და ქუთაისის მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკის საავტორო ფოტოკონკურსს - ,,წიგნი ობიექტივიდან". გარდა საქველმოქმედო საქმინობისა, აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა პოლიტიკურ თუ საგანმანათლებლო აქტივობებში. მათ შორის:

- პრეზიდენტის მოწვევით, დავესწარი თბილისის ქალთა საერთაშორისო კონფერენციას.
- დავინიშნე პარტია "საქართველოსთვის" იმერეთის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარედ.
- მონაწილეობა მივიღე - "ეგერია სოლუშენსი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტს "საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში".
- აქტიურად ვმონაწილეობ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და კონფერენციებში ქალთა პოლიტიკური გაძლიერების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

წერილობითი ანგარიშის მოსახლეობისათვის დარიგების და გაცნობის პროცესში შეხვედრაზე მყოფმა მოქალაქეებმა დასვეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

1. ქალაქში გარკვეული ჯგუფებისთვის, კერძოდ, სოციალურად დაუცველების და სტუდენტებისათვის, სკოლის მოსწავლეებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისათვის მოქმედებს საშეღავათო სამგზავრო ბარათები. მოქალაქემ, ითხოვა შუამდგომლობის გაწევა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის სამსახურებთან, რათა პენსიონერ მგზავრებსაც შეეძლოთ ჰქონდეთ საშეღავათო სამგზავრო ბარათები და მგზავრობა შეძლონ განახევრებული ტარიფით .

2. მოქალაქემ, რომელიც იყო ერთ ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე, ითხოვა დავაინიცირო საკრებულოში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეებისათვის ანაზღაურების საკითხი.

3. ქალაქში არსებულ გარკვეულ შენობებს, რომელიც არის კერძო საკუთრებაში და აქვს კულტურული მემკვიდრეობის ან სხვა მსგავსი სტატუსი, რომელიც ამავდროულად არის ავარიულ მდგომარეობაში ვერ ახერხებენ სააგენტოს მხრიდან ნებართვის გარეშე ისარგებლონ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ საბინაო/კეთილმოწყობის პროგრამებით და ა. შ. ბიუროკრატიული მდგომარეობის გამო, სააგენტოს მიერ საკითხის შესწავლა და ნებართვის გაცემა ძალიან დიდ დროსთან არის დამოკიდებული, რაც ხელს უშლის და აზარალებს ოჯახებს. შესაბამისად, მოქალაქემ ითხოვა დავაყენო საკითხი, როგორმე მიეცეს ადგილობრივ თვითმმართველობას დელეგირებით უფლებამოსილება ადგილზე მოხდეს გადაწყვეტილების მიღება და ავარიული/საფრთხის შემცველი მდგომარეობების დროულად მოწესრიგება.

4. კახიანოურის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, რომელებიც არიან ე. წ N105 კოოპერატივის წევრები, დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებული მოქალაქეები, ითხოვეს დახმარება და რეაგირება მათ პრობლემაზე თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირებისაგან.

5. მომდინარე წელსაც მწვავედ დგას ქალაქში სანიაღვრე სისტემების საკითხი. განსაკუთრებით შემოდგომა/ზამთრის პერიოდში, ხანგრძლივი წვიმის დროს იტბორება არა მხოლოდ ქალაქის ქუჩები და ავტომანქანებითაც კი გადაადგილება არის შეუძლებელი, ასევე იტბორება და ზიანდება საცხოვრებელი სახლები. შესაბამისად, მოქალაქემ ითხოვა აღნიშნულ პრობლემის მოგვარებაში დახმარება და შუამდგომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან უფრო მეტი კონტროლის

მექანიზმის ამუშავებით მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოების ხარისხიანად შესრულება.

6. გამარჯვების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სავაჭრო ცენტრ „გრანდმოლის" თანამშრომელთა მიერ გაჟღერდა თხოვნა თვითმმართველობასთან, მოგვარდეს ე.წ გარემოვაჭრეების პრობლემა. მათი განმარტებით, რამდენიმე წელია უშედეგოდ ითხოვენ გარემოვაჭრეების გაყვანას სავაჭრო ქსელის მიმდებარე ტერიტორიიდან, რაც არაერთ პრობლემას ქმნის.

7. ქალაქის ცენტრში, ქალაქ მუზეუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალურ ბულვარში წერილობითი ანგარიშის მოქალაქეებისათვის გადაცემის დროს, ე.წ „ბაღის კიდის" ქუთაისელებმა დააფიქსირეს თხოვნა მოეწყოს მათთვის ბულვარში ფანჩატური, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერ ამინდში შეიკრიბონ დაუბრკოლებლად.

პატივისცემით, ე. არჩაია.

ელეონორა არჩაია,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი